

დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 24 სექტემბრის N01 გადაწყვეტილებით
შესულია ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 14 იანვრის N05 ოქმით
შესულია ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 17 თებერვლის N02 ოქმით
შესულია ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 29 ნოემბრის N 10 ოქმით
შესულია ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 21 თებერვლის N 03 ოქმით
შესულია ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის N 07 ოქმით

თბილისის ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
საშემსრულებლო ფაკულტეტის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი 1

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1.1. სსიო - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში კონსერვატორია) საშემსრულებლო ფაკულტეტი (შემდგომში ფაკულტეტი) არის კონსერვატორიის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური თავისუფლების პირობებში ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, სამეცნიერო კვლევებს და უზრუნველყოფს საშემსრულებლო საქმიანობას.

1.2. ფაკულტეტი, სტუდენტსა და ფაკულტეტის პერსონალს საქართველოს სახელმწიფო განვითარების დონიდან გამომდინარე უქმნის პირობებს სწავლის, სწავლების, საშემსრულებლო საქმიანობის და სამეცნიერო კვლევისათვის. ორიენტირებულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მუდმივად იზრუნოს სწავლის ხარისხსა და პირობების გაუმჯობესებაზე.

მუხლი 2. საშემსრულებლო ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები

საშემსრულებლო ფაკულტეტის მიზანია ყოველმხრივ განათლებული მუსიკოსის აღზრდა, სასწავლო პროცესის ზუსტი დაგეგმარება და შესრულება. ფაკულტეტი მიზნად ისახავს სტუდენტთა ჰარმონიულ განვითარებას, მათი ინდივიდუალობის სრულად გამოვლენას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხატვრული გემოვნების განვითარებას, ჰარმონიული და ტემბრული სმენის სრულყოფას, პარტიტურის ერთ მთლიან კონტექსტში მოსმენისა და გააზრების უნარჩვევების გამომუშავებას. ინსტრუმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე ტექნიკური შესაძლებლობების სრულყოფილ ფლობას. ეუფლება ანსამბლური მუსიციერების სხვადასხვა ფორმებს. პროფესიული ჩვევების ფორმირება შეხამებული უნდა იყოს სტუდენტთა დახვეწილი მორალური პრინციპების აღზრდა-გამომუშავებასთან, რაც აწრთობს ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორცაა დისციპლინა და პასუხისმგებლობა. სტუდენტი ეუფლება სამეცნიერო - კვლევით მეთოდებს და გამოიმუშავებს არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარს. მნიშვნელობა ენიჭება დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებს. საშემსრულებლო ფაკულტეტის კურსდამთავრებული მუსიკოსი ქვეყნის მუსიკალური ცხოვრების დასაყრდენი ძალაა. მიღებული კვალიფიკაციით ახალგაზრდა მუსიკოსები მოღვაწეობენ, როგორც ოპერის სოლისტები, სოლისტი-ინსტრუმენტალისტები, ანსამბლისტები, კონცერტმასიტერები, გუნდისა და ორკესტრის მსახიობები.

მუხლი 3. ფაკულტეტის სტრუქტურა.

3.1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

3.2. ფაკულტეტის საგანმანათლებლო-შემოქმედებითი და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებია მიმართულებები. საშემსრულებლო ფაკულტეტზე გაერთიანებულია 10 მიმართულება:

- სოლო აკადემიური სიმღერა;
- საოპერო მომზადება;
- საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები;
- საორკესტრო სიმებიანი საკრავები;
- სპეც. ფორტეპიანო;

- კამერული ანსამბლი;
- საკონცერტმაისტერო დაოსტატება;
- სავალდებულო ფორტეპიანო;
- აკადემიური გუნდის დირიჟორობა;
- ჯაზის ხელოვნება.

მიმართულებებს ხელმძღვანელობს სრული ან ასოცირებული პროფესორი რექტორის გადაწყვეტილებით (დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 21 თებერვლის № 09/2022 დადგენილებით).

3.3. ფაკულტეტს მართავს დეკანი, რომელსაც ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

3.4. დეკანის გარდა, მიმართულებების შესაბამისად ფაკულტეტის სასწავლო პროცესს კოორდინირებას უწევს ოთხი კოორდინატორი, რომლებიც ღია კენჭისყრით არჩეულ იქნენ ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

3.5. ფაკულტეტის საერთო მართვას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო.

3.6. მართვის ძირითად მიმართულებებსა და მექანიზმებს საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით განსაზღვრავს ფაკულტეტთან არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო დეპარტამენტთან ერთად.

3.7. ფაკულტეტი, სასწავლო დეპარტამენტთან ერთად ზედამხედველობას უწევს უმაღლესი პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესს.

3.8. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულია - სამდივნო აპარატი.

მუხლი 4. ფაკულტეტის უფლებამოსილება

ფაკულტეტის უფლებამოსილებაა:

4.1. უმაღლესი პროფესიული პროგრამების სტუდენტებისათვის, ბაკალავრების, მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის ცოდნის მისაღებად სათანადო პირობების შექმნა, სასწავლო პროცესის წარმართვა და კოორდინირება;

4.2. სტუდენტთა რეგისტრაციის ჩატარება სასწავლო დეპარტამენტის მონიტორინგით;

4.3. ფაკულტეტის მიმართულებების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებაზე კონტროლი სასწავლო დეპარტამენტთან ერთად;

4.4. პროფესორ - მასწავლებელთა და კონცერტმაისტერთა სასწავლო დატვირთვების დაზუსტება და გაფორმება სასწავლო დეპარტამენტის მონიტორინგით;

4.5. სასწავლო დეპარტამენტთან ერთად სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი;

4.6. სტუდენტთა უზრუნველყოფა ყველა საჭირო დოკუმენტაციით, ასევე აკადემიური პერსონალის, მოწვეული პედაგოგების, მასწავლებლებისა და სტუდენტების მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების გაცემა;

4.7. სტუდენტთა დისციპლინარულ დარღვევებზე სწრაფი რეაგირება;

4.8. სტუდენტთა პირადი საქმის წარმოება, სტუდენტთა კურსიდან კურსზე გადაყვანის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის გაფორმება, აკადემიური შვებულებებით უზრუნველყოფა;

4.9. შემოქმედებითი პროცესის დაგეგმვა: დახურული, ღია აკადემიური კონცერტები; რეპეტიციების ორგანიზება;

4.10. ფაკულტეტის მიმართულებებთან შეთანხმებით შიდა კონკურსების ჩატარება;

4.11. ფაკულტეტის მიმართულებების გადაწყვეტილების საფუძველზე სტუდენტებისთვის სტიპენდიების დანიშვნა;

4.12. საშემსრულებლო პრაქტიკის კრედიტების მოსაპოვებლად, სტუდენტის მიერ შესრულებული (კონცერტების, პროგრამების და ა.შ.) აღნუსხვა;

- 4.13. პედაგოგიური პრაქტიკის სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- 4.14. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საკრედიტო სისტემის მიმდინარეობაზე და სასწავლო პროგრამების განხორციელებაზე მუდმივი მონიტორინგი;
- 4.15. ხარისხის გასაუმჯობესებლად, სტუდენტთა თვითმმართველობის აქტიური მონაწილეობა სწავლის პროცესში;
- 4.16. ეთიკის კოდექსისა და დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში საჭირო ღონისძიებების გატარება;
- 4.17. ფაკულტეტი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სასწავლო დეპარტამენტთან და სამეცნიერო კვლევების სამსახურთან კოორდინირებული მუშაობით.

თავი 2

ფაკულტეტის მართვის ორგანოები

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო და მისი ფორმირების წესი

- 5.1. ფაკულტეტის საერთო მართვას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო;
- 5.2. ფაკულტეტის საბჭოში შედიან აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური თვითმმართველობის არჩეული წარმომადგენლები. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში, ფაკულტეტი საბჭოს წევრის სტატუსით, ასევე შედის ფაკულტეტის დეკანი;
- 5.3. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალი აირჩევა ფაკულტეტზე არსებული მიმართულებებიდან წარმომადგენლობით საფუძველზე ღია კენჭისყრით;
- 5.4. საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭო შედგება 30 წევრისგან, მათ შორის: 21 აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, 8 სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი და დეკანი;
- 5.5. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალი აირჩევა ფაკულტეტის არსებულ მიმართულებებზე პროფესორების რაოდენობის გათვალისწინებით;
- 5.6 ფაკულტეტზე არსებული მიმართულებებიდან აირჩევა 21 აკადემიური პერსონალი, მათ შორის: სამ-სამი იმ მიმართულებებიდან, რომლებშიც გაერთიანებულია 10-ზე მეტი აკადემიური პერსონალი, ორ-ორი იმ მიმართულებებიდან, სადაც გაერთიანებულია არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 აკადემიური პერსონალი და თითო-თითო იმ მიმართულებებიდან, რომლებშიც გაერთიანებულია 5-ზე ნაკლები აკადემიური პერსონალი. იმ შემთხვევაში როდესაც, მიმართულება წარმოდგენილია ერთი აკადემიური პერსონალით, მაშინ ეს აკადემიური პერსონალი ავტომატურად ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი და წარმომადგენლობითი ქვოტა იცვლება ერთით. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალისათვის გამოყოფილი ადგილებიდან ამ პრინციპით განაწილების შედეგად დარჩენილი ადგილები ნაწილდება აკადემიური პერსონალის რაოდენობის თვალსაზრისით ყველაზე დიდ მიმართულებაზე/მიმართულებებზე. (გადაწყვეტილება აღნიშნულზე მიიღება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით);
- 5.7. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს წევრთა შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები. რაოდენობის მაჩვენებელ მთელ რიცხვად დამრგვალება ხდება სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ;
- 5.8. არჩევნები ცხადდება დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც უნდა უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს თვალსაჩინო ადგილას;

- 5.9. ფაკულტეტის საბჭოს ფორმირების მიზნით დეკანის ბრძანებით ფაკულტეტზე იქმნება საარჩევნო კომისია, რომელიც ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოში მიმართულებებიდან წარმომადგენლების არჩევის პროცესის უზრუნველყოფას. არჩევნები მიმართულებებზე ტარდება ცალ-ცალკე, მტკიცდება საარჩევნო სიები და ხორციელდება სხვა აუცილებელი პროცედურების უზრუნველყოფა. არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ერთსა და იმავე დღეს;
- 5.10. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშნვიდან ერთი კვირის განმავლობაში საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიას მისი საბჭოს წევრობის კანდიდატად დარეგისტრირების თხოვნით;
- 5.11. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი;
- 5.12. გადაწყვეტილება მიმართულების სხდომაზე მიიღება ღია კენჭისყრის გზით. სხდომაზე, ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. აკადემიურ პერსონალს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი წევრიც არის ასარჩევი მიმართულებებიდან ფაკულტეტის საბჭოში; უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი (კანდიდატები) ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში მიმართულების იმავე სხდომაზე, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ხმათა ყველაზე მეტი და თანაბარი რაოდენობა. თუ განმეორებითმა კენჭისყრამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული ინიშნება ხელახალი არჩევნები, ზემოთაღნიშნული პროცედურის გათვალისწინებით. მიმართულების წევრს არ აქვს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება;
- 5.13. საარჩევნო კომისიის წევრს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, როგორც ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატს. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი;
- 5.14. იმ მიმართულების აკადემიური პერსონალი, რომელიც გაერთიანებულია ერთზე მეტ მიმართულებაში, არჩევნებში, როგორც ამომრჩეველი, ასევე როგორც ასარჩევი პირი, მონაწილეობს მხოლოდ ერთი მიმართულების ფარგლებში. გადაწყვეტილებას, თუ რომელი მიმართულების აკადემიური პერსონალის სტატუსით მიიღებს ასეთი პირი არჩევნებში მონაწილეობას, აკადემიური პერსონალი იღებს თავად;
- 5.15. კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები;
- 5.16. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის საბჭოს წევრობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება კონკრეტული აკადემიური პერსონალის კონკრეტულ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადით. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში (დეკანის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში) პირს უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოში ვაკანტური ადგილის დასაკავებლად (გარდა დეკანისა) ცხადდება ხელახალი არჩევნები, საბჭოს წევრთა არჩევნების ზემოთ დადგენილი პროცედურების დაცვით;
- 5.17. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, ასევე სხვა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადასვლის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას. ახალი წევრების წარდგენა და მათი უფლებამოსილების ცნობა ხდება დადგენილი წესით;
- 5.18. ფაკულტეტის საბჭო იკრიბება ფაკულტეტის საბჭოში წარმომადგენლების არჩევიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ფაკულტეტის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავის უფლებამოსილებას, რითაც მოქმედ საბჭოს უფლებამოსილება უწყდება;

5.19. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი, რომლის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს ერთ-ერთი კოორდინატორი.

(დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 29 ნოემბრის № 43/2021 დადგენილებით)

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

ფაკულტეტის საბჭო:

- 6.1. შეიმუშავებს და ამტკიცებს მუშაობის რეგლამენტს;
- 6.2. თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;
- 6.3. დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და სასწავლო პროგრამებს;
- 6.4. დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
- 6.5. ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და ფაკულტეტის კოორდინატორებს;
- 6.6. წელიწადში ერთხელ ისმენს დეკანის ანგარიშს ფაკულტეტზე გაწეული მუშაობის შესახებ;
- 6.7. კოორდინაციას უწევს ფაკულტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფების სასწავლო-შემოქმედებით, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს და პერიოდულად განიხილავს მათი მუშაობის შედეგებს;
- 6.8. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს;
- 6.9. განიხილავს ფაკულტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს (დისციპლინარული დარღვევები, სტუდენტებისა ან პედაგოგების მნიშვნელოვანი პრეტენზიები და ა შ);
- 6.10. ფაკულტეტის საბჭოს მიმდინარე სამუშაოებსა და საქმისწარმოებას ახორციელებს სწავლული მდივანი, რომელიც აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს პირველ სხდომაზე მისი წევრებიდან ღია კენჭისყრით;
- 6.11. ფაკულტეტის საბჭოს შეუძლია ზოგიერთ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების უფლების დელეგირება მიმართულებებზე და სხვა სტრუქტურულ ერთეულებზე;
- 6.12. ფაკულტეტის საბჭოს სხდომები ღიაა და მათზე დასწრება სათათბირო ხმის უფლებით აქვს ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს. სხდომებზე სხვა პირების დასწრების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო;
- 6.13. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში, ავტომატურად კარგავს საბჭოს წევრობის უფლებას;
- 6.14. ფაკულტეტის საბჭოს სხდომები ტარდება თვეში ერთხელ, ან საჭიროებისამებრ თავმჯდომარეს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით, ან წევრთა 1/3 მოთხოვნით მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა;
- 6.15. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის 2/3, გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სრული შემადგენლობის უმრავლესობა;
- 6.16. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე კენჭისყრა არის ღია, გარდა კანონითა და კონსერვატორიის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 6.17. ფაკულტეტის საბჭოს ყოველი სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;

- 6.18. ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოს მდივანი;
- 6.19. კურსდამთავრებულ სტუდენტებს კვალიფიკაციას ანიჭებს ფაკულტეტის საბჭო;
- 6.20. ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და კონსერვატორიის წესდებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. ფაკულტეტის დეკანი.

- 7.1. საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს საშემსრულებლო საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამის და სამეცნიერო კვლევების ეფექტიანად მიმდინარეობას.
- 7.2. ფაკულტეტის ხელმძღვანელია დეკანი, რომელიც აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამჭვირვალობის, თანასწორობის და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
- 7.3. ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის 1/4 ინიციატივით, შეუძლია დააყენოს დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი, გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე მიიღება საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- 7.4. დეკანი ვალდებულია იმოქმედოს კონსერვატორიის წესდების, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების, ეთიკის კოდექსის და ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

მუხლი 8. დეკანის უფლებამოსილება

ფაკულტეტის დეკანი:

- 8.1. ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო- მეთოდურ პროგრამებს;
- 8.2. ფაკულტეტის საბჭოსთან ერთად შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;
- 8.3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
- 8.4. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;
- 8.5. თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
- 8.6. ადგენს ფაკულტეტის საქმისწარმოების წესს (მოხსენებითი ბარათები, ოქმები, ცნობები და ა.შ.);
- 8.7. მონიტორინგის მიზნით ესწრება:
 - ა) მიმართულებების სხდომებს;
 - ბ) მიმართულებებზე ჩატარებულ შუასემესტრულ შემოწმებებს და გამოცდებს;
 - გ) მიმართულებების დახურულ და ღია აკადემიურ კონცერტებს;
 - დ) დეკანატში საჭიროებისამებრ ატარებს (დეკანი, კოორდინატორები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მდივნები) საორგანიზაციო და შემაჯამებელ შეკრებებს;
 - ე) გადაწყვეტილებებს იღებს კონსერვატორიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, კონსერვატორიის წესდების, შინაგანაწესის და ეთიკის კოდექსის შესაბამისად;
 - ვ) სწრაფ რეაგირებას ახდენს ყველა დისციპლინარულ დარღვევაზე;
 - ზ) კოორდინატორებთან და მიმართულებების ხელმძღვანელებთან შეთანხმების საფუძველზე სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს მთელი წლის შემოქმედებით გეგმას (კონცერტები, კონკურსები, მასტერკლასები და ა. შ.);
 - თ) რეიტინგის მიხედვით სტუდენტებს უნიშნავს სტიპენდიებს;

1) საუკეთესო, 2) ძალიან კარგი, 3) კარგი

8.8. შრომის დისციპლინისა და ფაკულტეტის დებულების დარღვევის შემთხვევაში, სასწავლო დეპარტამენტთან ერთად, აკადემიური პერსონალის მიმართ ატარებს შესაბამის ღონისძიებებს;

8.9. ფაკულტეტის მიმართულებების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებაზე კონტროლი;

8.10. სტუდენტთა კურსიდან კურსზე გადაყვანის, აკადემიური შვებულების, სტიპენდიების დანიშვნის, დავალიანების დაფარვის, საპატიო გაცდენებისთვის ცნობების განხილვის და ა.შ. უზრუნველყოფა, სტუდენტთა სტატუსის შეჩერება-შეწყვეტა;

8.11. მონიტორინგს უწევს უმაღლესი პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესს;

8.12. ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონისა და კონსერვატორიის წესდებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9. ფაკულტეტის კოორდინატორების უფლებამოსილება

9.1. ფაკულტეტის კოორდინატორები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის წარმართვას სწავლების ყველა საფეხურზე (უმაღლესი პროფესიული პროგრამები, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა).

9.2. ფაკულტეტის კოორდინატორები ახორციელებენ კონსერვატორიის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული საქმიანობის კოორდინაციას.

9.3. კოორდინაციას უწევენ :

ა) პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საშემსრულებლო, სამეცნიერო-მეთოდურ და კვლევით სამუშაოებს;

ბ) მიმართულებების დახურული, ღია აკადემიური კონცერტებისა და რეპეტიციების ორგანიზებას; შუასემესტრული შემოწმებებისა და დამაბოლოებელი გამოცდების დადგენილ ვადებში ჩატარებას;

გ) ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;

დ) პროფესორ-მასწავლებელთა და კონცერტმასტერთა სასწავლო-სამეცნიერო დატვირთვებს, სტუდენტთა რეგისტრაციას;

ე) სტუდენტებისთვის სავალდებულო და არასავალდებულო არჩევითი საგნების არჩევას;

ვ) საშემსრულებლო პრაქტიკის კრედიტების დროულად შესრულებას;

ზ) პედაგოგიური პრაქტიკის მიმდინარეობას;

თ) უმაღლესი პროფესიული პროგრამების სწავლების პროცესს;

9.3. კოორდინატორები ანგარიშვალდებულნი არიან დეკანის წინაშე მიმდინარე სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხზე (დებულების, წესდების, შინაგანაწესის და ეთიკის ნორმების სრული დაცვით).

9.4. კოორდინატორს უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანაა საშემსრულებლო ფაკულტეტის საშემსრულებლო, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და ორგანიზება; მართვის ძირითადი მიმართულებებისა და მექანიზმების განსაზღვრა საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით.

10.1. ფაკულტეტზე საშემსრულებლო, სამეცნიერო- მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის

სისტემური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

10.2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს რა კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სისტემატურად აწვდის ინფორმაციას ფაკულტეტის დეკანატს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი შესაბამისი უმაღლესი დაწესებულების ხარისხის სამსახურის გამჭვირვალე კრიტერიუმებსა და სწავლების მეთოდოლოგიების შესახებ.

10.3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

10.4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო, დეკანის წარდგინებით. არჩეულად ითვლება პირი, რომელიც მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობას.

10.5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თავად ირჩევს მიმართულებების შესაბამისად, მიმართულებების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს.

10.6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და მიმართულებების შესაბამისად მის მიერ არჩეული წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ ფაკულტეტის საბჭოს წევრები (ასოცირებული ან სრული პროფესორები).

10.7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და წარმომადგენლების ვალდებულებაა:

ა) შეიმუშაოს სწავლისა და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად მეთოდური დოკუმენტაცია და რეკომენდაციები;

ბ) შეიმუშაოს შეფასებისა და შემოწმების სტანდარტები და განახორციელოს მონიტორინგი;

გ) დახმარება გაუწიოს საშემსრულებლო ფაკულტეტს და მიმართულებებს სწავლისა და სწავლების ახალი სტანდარტების დანერგვასა და დახვეწაში;

დ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სილაბუსების შევსებაზე კონტროლი;

ე) ფაკულტეტის თვითშეფასების უზრუნველყოფა ავტორიზაციის პროცესისათვის;

ვ) ინოვაციური პროექტების შემუშავება და მათი დანერგვა ფაკულტეტზე;

ზ) ფაკულტეტში შემავალი მიმართულებების მუშაობის კოორდინირება საკრედიტო სივრცეში;

თ) სასწავლო პროცესის ხარვეზების გამოვლენა, მათი გადალახვის გზების ძიება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ი) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიმართულებებთან ერთად შემოწმების ფორმების შემუშავება;

კ) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის სტანდარტების შემუშავება;

ლ) სტუდენტთა აკადემიური მობილურობის პროცესში მონაწილეობა;

მ) სასწავლო პროცესის შედეგების (წერილობითი ფორმით) კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახურისთვის მიწოდება;

ნ) ფაკულტეტის ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო და სახელოვნებო სივრცეში;

ო) მიმართულებებზე საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის კონტროლი.

თავი 3

ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 11. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი

11.1. ასისტენტ-პროფესორი აქტიურად მონაწილეობს მიმართულებების სასწავლო და შემოქმედებით პროცესში: პროფესორის მიერ მეცადინეობების საპატიო გაცდენის შემთხვევაში ამეცადინებს ამ უკანასკნელის სტუდენტებს; ესწრება პროფესორების გაკვეთილებს; შუასემესტრულ შემოწმებებზე აფასებს სტუდენტებს როგორც კომისიის წევრი; წერს მიმართულების სხდომის ოქმებს; ყოველწლიურად აქვს საკონცერტო გამოსვლები და ამასთანავე ასრულებს მიმართულებებისთვის შესასრულებელ ყველა საჭირო დავალებას;

11.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში, შუა სასწავლო წელს აკადემიური პერსონალი ინარჩუნებს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ დატვირთვას (პედაგოგს სამეცნიერო საათებით ევსება პედაგოგიური საათები).

მუხლი 12. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის უფლებები

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია:

12.1. დაატოვებინოს აუდიტორია უდისციპლინო სტუდენტს, რომლის საქციელი ხელს უშლის მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას და მეცადინეობა ჩაეთვალოს გაცდენად;

12.2. მოხსნას შუალედური და ფინალური გამოცდიდან „მპარგალკის“ გამოყენებასა და სხვისთვის გადაცემაში ან აკრძალულ სხვა ქმედებაში მხილებული სტუდენტი და გაუფორმოს „0“;

12.3. დასვას საკითხი ფაკულტეტის საბჭოზე იმ სტუდენტის გარიცხვის შესახებ, რომელიც უხეზად დაარღვევს ეთიკის კოდექსს: ჩაიდენს ხულიგნურ საქციელს, შეურაცხყოფას მიაყენებს ადმინისტრაციას, აკადემიური ან დამხმარე პერსონალის წარმომადგენელს ან სხვა სტუდენტს.

მუხლი 13. აკადემიური პერსონალის ვალდებულებები

აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას კონსერვატორიის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და ფაკულტეტის დებულების მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

გ) კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში დეკანატში ჩატარებული მუშაობის შესახებ;

დ) სამართლიანად და პატივისცემით მოეპყრას ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს; არ მისცეს კოლეგას შენიშვნა სტუდენტების თანდასწრებით;

ე) სრული ცოდნა და გაგება იმ საგნისა, რასაც ასწავლის;

ვ) მზად იყოს ადმინისტრაციის, დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მის მეცადინეობაზე დასწრებისათვის;

ზ) კეთილსინდისიერად შეასრულოს ვალდებულებები ხელმძღვანელი პირების მითითების შესაბამისად;

თ) სისტემატურად აიმაღლოს პროფესიული ცოდნა და განავითაროს სტუდენტებში თავისუფალი შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარი;

ი) განახორციელოს საგნის სწავლება კონსერვატორიაში მიღებული აკადემიური სტანდარტების შესაბამისად, რაც მოიცავს საკრედიტო სისტემიდან გამომდინარე ყველა პროცედურის ზედმიწევნით შესრულებას;

- კ) დათქმულ ვადებში ჩაატაროს მიმდინარე შუასემესტრული და ფინალური გამოცდები (განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართოს დეკანს მოხსენებითი ბარათით ცვლილებებთან ან კონკრეტულ მიზეზებთან დაკავშირებით);
- ლ) გაცდენის შესახებ სულ ცოტა 1 კვირით ადრე აცნობოს სასწავლო დეპარტამენტის უფროსს და დეკანს და აღადგინოს მეცადინეობები სასწავლო მენეჯერთან შეთანხმებულ დროსა და აუდიტორიაში;
- მ) დეკანატს დროულად გადასცეს სრულად შევსებული უწყისები და შეფასების კორექტირების შემთხვევაში ხელმოწერით დაადასტუროს სისწორე;
- ნ) სტუდენტის მიერ შეფასების (წერიტი გამოცდა) გასაჩივრების შემთხვევაში, დაემორჩილოს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებას;
- ო) გაუფრთხილდეს კონსერვატორიის ქონებას;
- პ) ადმინისტრაციის სპეციალური ნებართვის გარეშე არ იმოქმედოს კონფიდენციალურად;
- ჟ) პატივი სცეს კოლეგის შრომას, იყოს დისტანცირებული სტუდენტებთან;
- რ) მონაწილეობა მიიღოს შუალედური და ფინალური კომისიების მუშაობაში;
- ს) ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ ყოფნისას მუდამ იზრუნოს კონსერვატორიის საქმიანი რეპუტაციის ამაღლებაზე, ღირსებაზე და პრესტიჟზე.

მუხლი 14. აკადემიური პერსონალის დისციპლინარული პასუხისმგებლობა

კონსერვატორიის შინაგანაწესისა და ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული ნორმების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია დეკანატისა და სასწავლო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული დისციპლინური სასჯელის შემდეგი ფორმები:

- ა) შენიშვნა;
- ბ) გაფრთხილება;
- გ) უფრო დაბალ თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ექვსი თვისა;
- დ) ხელფასის დაქვითვა 50 ლარის ოდენობით;
- ე) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა

თუ პედაგოგი


1. არ ავსებს სილაბუსს და ჟურნალს, სადაც არ ფიქსირდება სტუდენტის დასწრება/არ დასწრება;
2. არ ავსებს უწყისს (შესაბამის გრაფაში თარიღის მითითება და ხელმოწერა) და დათქმულ ვადებში არ აბარებს დეკანატს;
3. უწყისში კორექტივების შეტანის შემთხვევაში შეცდომას ხელმოწერით არ ადასტურებს;
4. ფაკულტეტის საბჭოზე, მიმართულებების სხდომებზე, დახურული კონცერტების ან საგამოცდო კომისიებში გამომძახების მიუხედავად თვითნებურად არ ცხადდება;
5. არასაპატიო მიზეზით აცდენს მეცადინეობებს და არ ზრუნავს ამ უკანასკნელის აღდგენაზე;
6. არ ექვემდებარება ფაკულტეტის დებულების და კონსერვატორიის შინაგანაწესის წესებს;
7. თვითნებურად ახდენს ცვლილებებს პედაგოგიურ დატვირთვებში; თვითნებურად ცვლის გამოცდების ვადებს;
8. არღვევს ეთიკის კოდექსს.

მუხლი 15. სხვა პერსონალი (მასწავლებელი, კონცერტმაისტერი)

- 15.1. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.
- 15.2. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო და პრაქტიკულ სამუშაოებს.
- 15.3. მასწავლებელთა პერსონალს უთანაბრდება კონცერტმაისტერი.

- 15.4. საშემსრულებლო ფაკულტეტზე კონცერტმაისტერის მომსახურებას საჭიროებს 7 მიმართულება.
- 15.5. კონცერტმაისტერი აირჩევა თავისუფალი და თანასწორი ღია კონკურსის საფუძველზე.
- 15.6. კონცერტმაისტერი ვალდებულია დაესწროს პედაგოგის ყველა მეცადინეობა.
- 15.7. მასწავლებელი და კონცერტმაისტერი ვალდებულია დაიცვას კონსერვატორიის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის ნორმების და ფაკულტეტის დებულების მოთხოვნები.
- 15.8. მასწავლებელი და კონცერტმაისტერი ვალდებულია შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

მუხლი 16. ფაკულტეტის სტრუქტურა



მუხლი 17. საშემსრულებლო პრაქტიკა

გარდა არჩევითი საგნებისა სტუდენტს შეუძლია კრედიტები საშემსრულებლო პრაქტიკის საშუალებითაც მოიპოვოს. ფაკულტეტზე საშემსრულებლო პრაქტიკა მოიცავს კრედიტებში გამოხატულ, სტუდენტის მიერ ზეგეგმიურად შესრულებულ შემოქმედებით სამუშაოს (სოლო კონცერტი, გასვლითი კონცერტი, ფესტივალები, კონკურსები, მაისტერკლასები და ა.შ)

- საშემსრულებლო პრაქტიკაში შესასრულებელი კრედიტების რაოდენობა მითითებულია ფაკულტეტის მიმართულებების სასწავლო გეგმებში სპეციალობების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- სტუდენტი ვალდებულია საშემსრულებლო პრაქტიკაში ჩატარებული სამუშაოს შესახებ დროულად აცნობოს დეკანატს (ცნობების, აფიშების და პროგრამების სახით).
- თუ სტუდენტი ვერ მიიღებს მონაწილეობას ზემოთქმულ ღონისძიებებში, მას გააჩნია ალტერნატივა საშემსრულებლო პრაქტიკის კრედიტების მოსაპოვებლად აირჩიოს და გაიაროს 2, 3, ან 4 კრედიტიანი არჩევითი საგანი;

მუხლი 18. პედაგოგიური პრაქტიკა

სტუდენტი, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ პედაგოგიურ პრაქტიკას ეუფლება ბაკალავრიატის IV კურსზე და მაგისტრატურის II კურსზე, რომელიც სრულდება შემაჯამებელი საკვალიფიკაციო გამოცდით. გამოცდა ტარდება თეორიული - (მეთოდულში, ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში) და პრაქტიკული - (ღია გაკვეთილის) სახით (ფასდება 100ქ.).

თავი 4

სტუდენტების უფლებამოვალეობები

მუხლი 19. სტუდენტი და მისი უფლებამოვალეობები

19.1. სემესტრის დაწყების პირველ დღეს სტუდენტი ვალდებულია:

- ა) გამოცხადდეს რეგისტრაციაზე ფაკულტეტის მდივანთან;
 - ბ) ჩააბაროს დეკანს ჩათვლის წიგნაკი, ბიბლიოთეკის საშვი და სტუდენტის ბილეთი ხელმოსაწერად;
 - გ) სასწავლო წლის დასაწყისშივე აირჩიოს პედაგოგები სპეციალურ დისციპლინებში (განცხადების ფორმით), გარდა იმ დისციპლინებისა, რომლებიც ემყარება ჯგუფური მეცადინეობის ან/და საპროექტო მეცადინეობის პრინციპს ან/და რეპერტუარით განსაზღვრულ ინსტრუმენტულ შემადგენლობას. ამ შემთხვევაში სტუდენტს პედაგოგს განუსაზღვრავს კონსერვატორია. **(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის N 20/2022 დადგენილებით)**
 - დ) იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ არჩეული პედაგოგის კლასი შევსებულია, სტუდენტი განაწილდება სხვა პედაგოგთან მიმართულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით;
 - ე) გამოცხადდეს სპეციალური საგნების მასწავლებელთან და კონცერტმასტერთან და სალექციო და ჯგუფური მეცადინეობის ცხრილის გათვალისწინებით შეადგინოს თავისი ინდივიდუალური მეცადინეობის ცხრილი;
 - ე) დეკანატში წარმოდგენილი არჩევითი საგნების სიიდან აირჩიოს არჩევითი საგანი, თუ ეს უკანასკნელი სასწავლო პროგრამით არის გათვალისწინებული.
 - ვ) თვითდაფინანსებაზე ან/და დავალიანებაში მყოფ სტუდენტს დეკანატში რეგისტრაციის უფლება ეძლევა მხოლოდ სწავლის ან დავალიანების საფასურის გადახდის შემთხვევაში, გადახდილი ქვითრების დეკანატში წარმოდგენის შემდეგ;
- 19.2. დროულად წარადგინოს დეკანატში განაცხადი არჩეული პედაგოგებისა და საგნების თაობაზე;
- 19.3. მეცადინეობების გაცდენების შემთხვევაში სტუდენტმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს დეკანატს გაცდენის მიზეზი და თუ გაცდენა ავადმყოფობითაა გამოწვეული წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სამკურნალო დაწესებულებიდან. ოჯახური მდგომარეობის გამო გაცდენილი საათები სტუდენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაეთვლება საპატიოდ, თუ მან აიღო ნებართვა ფაკულტეტის დეკანისაგან;
- 19.4. დროულად წარმოადგინოს დეკანატში საჭირო დოკუმენტაცია (აფიშები, პროგრამები და ა. შ.) ჩატარებული სამუშაოს შესახებ საშემსრულებლო პრაქტიკაში კრედიტების მოსაპოვებლად;
- 19.5. სტუდენტები ვალდებული არიან პასუხისმგებლობით მოეპყრან კონსერვატორიის საკუთრებას (შენობა, ინსტრუმენტები, ინვენტარი, სასწავლო ტექნიკა, წიგნები, ნოტები და სხვა). სტუდენტებს ეკრძალებათ ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე კონსერვატორიის შენობიდან სასწავლო ინვენტარის გატანა; აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტს ეკისრება მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, რაც დაიქვითება მისი სწავლის საფასურიდან (ფასიანი სწავლება), ან დაიფარება პირადი ანგარიშიდან (საბიუჯეტო სწავლება);
- 19.6. სტუდენტებისათვის სწავლის პერიოდში მუშაობა დასაშვებია მხოლოდ ისეთ შემთხვევაში თუ ეს ხელს არ შეუშლის სწავლის პროცესს;

19.7. ფაკულტეტის თითოეულ კურსზე ირჩევა ჯგუფხელი. ჯგუფხელი ვალდებულია მუდმივი კონტაქტი ქონდეს დეკანატთან და დროულად მიაწოდოს სტუდენტებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ცვლილებები;

19.8. სტუდენტებს არდადეგები აქვთ წლის განმავლობაში ორჯერ;

19.9. არდადეგების ვადები დგინდება კონკრეტულად, მოქმედი სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროცესის გრაფიკის შესაბამისად (ზამთრის არდადეგების ვადაა არანაკლებ 12 დღისა);

19.10. საკვალიფიკაციო გამოცდებზე სტუდენტი დაიშვება დავალიანების შემთხვევაშიც. საკვალიფიკაციო გამოცდებზე გამოუცხადებლობის ან კრედიტის ვერ მიღების შემთხვევაში, სტუდენტს ეს უკანასკნელი ეთვლება დავალიანებად და მხოლოდ ოთხი სემესტრის განმავლობაში აქვს უფლება გამოცხადდეს დეკანატში და დარეგისტრირდეს სემესტრის დასაწყისში გამოცდების ჩასაბარებლად. სურვილისამებრ იხდის თანხას და გადის საკვალიფიკაციო გამოცდების კურსს ან/და

დამოუკიდებლად, კურსის გაუვლელად აბარებს ამ უკანასკნელს თანხის გადახდის გარეშე;

19.11. სტუდენტს უფლება აქვს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში საგამოცდო შეფასება გაასაჩივროს მხოლოდ წერილობითი ფორმით, შეფასების შედეგის გამოცხადებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში;

19.12. განსაკუთრებულ შემთხვევებში (მძიმე ავადმყოფობა ან სხვა) ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით, სტუდენტს ეძლევა უფლება დამაბოლოებელი შემოწმება გაიაროს მომდევნო სემესტრის დაწყებიდან 10 დღის ვადაში;

19.13. გამოცდების ექსტერნად ჩაბარება ან სწავლის ვადების შემოკლება ნებადართული არ არის. შეიძლება დაიშვას გამონაკლისი, თუ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ ნიჭიერებასთან, რომელიც ყველა სასწავლო დისციპლინაში თანაბრად ვლინდება. ამ საკითხს განიხილავს და გადაწყვეტლება გამოაქვს რექტორს შესაბამის ფაკულტეტთან კონსულტაციების ან წინადადებების საფუძველზე;

19.14. სტუდენტს უფლება აქვს, შეიცვალოს პედაგოგი განცხადების საფუძველზე (მიზეზის მითითებით) და წარადგინოს დეკანატში, მხოლოდ სემესტრის დასაწყისში, გამონაკლისია ამ დებულების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. **(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის N 20/2022 დადგენილებით)**

19.15. სტუდენტი ვალდებულია კონსერვატორიის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა და გათვალისწინებულია სასწავლო გეგმით დადგენილ ვადებში;

19.16. სტუდენტი ვალდებულია დაიცვას კონსერვატორიის წესდება, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, ეთოკის კოდექსი.

თავი 5

ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 20. ფაკულტეტის სამდივნო

ფაკულტეტის სამდივნო წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს და კანონმდებლობით ექვემდებარება დეკანს.

20.1. საშემსრულებლო ფაკულტეტს ემსახურება ოთხი მდივანი.

მდივანი ვალდებულია:

ა) დაიცვას კონსერვატორიის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის ნორმებისა და ფაკულტეტის დებულების მოთხოვნები;

ბ) ფაკულტეტის საქმისწარმოება ხარისხიანად წარმართოს;

20.2. მდივანის მოვალეობებია:

1. ფაკულტეტის სტუდენტთა რეგისტრაციის ჩატარება, სტუდენტთა დემოგრაფიული ცნობების შეგროვება და ჟურნალში შეტანა; (რეგისტრაციის ჩასატარებლად დავალიანებაში მყოფი და ფასიანი სტუდენტებისთვის აუცილებელია ბანკში გადახდილი სწავლის საფასურის ქვითრის წარდგენა);
2. ფაკულტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაზუსტება და კურსების მიხედვით მათი სიების ელექტრონულ ბაზაში შეტანა;
3. სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება და ყველა საჭირო მონაცემის საადრიცხვო ბარათებში შეტანა;
4. სტუდენტთა ჩათვლის წიგნაკების და ბიბლიოთეკის საშვების გაცემა;
5. სტუდენტთა პირველადი რეგისტრაციისას ინდივიდუალურ მეცადინეობებისთვის არჩევითობის უზრუნველყოფა;
6. სტუდენტთა განცხადებების (არჩევითობის) საფუძველზე კოორდინატორისა და მიმართულების ხელმძღვანელის თანამონაწილეობით პედაგოგების დატვირთვების დაზუსტება- შედგენა და ელექტრონულ ბაზაში შეტანა;
7. ფაკულტეტის პედაგოგების, კონცერტმასიტერებისა და სტუდენტების ხელშეკრულებებზე ხელმოწერების ორგანიზება;
8. მიმართულებების აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვებისა და სამეცნიერო გეგმების დაჯამება, სპეციალურ ცხრილებში შეტანა, ამ უკანასკნელთათვის შედგენილი დატვირთვების გაცნობა და მათი ხელმოწერით დადასტურება;
9. სტუდენტთა კონტინგენტში ცვლილებებთან დაკავშირებით პედაგოგთა სასწავლო დატვირთვებში სათანადო კორექტივების შეტანა და რექტორის მოადგილის სახელზე მოხსენებითი ბარათის დაწერა. კონცერტმასიტერთა სასწავლო დატვირთვების შედგენა-დაზუსტება სასწავლო კურსის წამყვანი პედაგოგისა და კოორდინატორის თანამონაწილეობით;
11. პედაგოგებთან და კონცერტმასიტერებთან განაწილებული ფასიანი სწავლების სტუდენტთა საათების დაანგარიშება;
12. სტუდენტებისათვის საჭიროებისამებრ ცნობების გაცემა (მათ შორის სამხედრო სამობილიზაციო განყოფილებაში წარსადგენად);
13. ბრძანებების გაფორმება: ა) სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა; ბ)აკადემიური შვებულება; გ) კურსიდან კურსზე გადაყვანა; დ) აკადემიური მოსწრება; ე) სტიპენდიების დანიშვნა; ვ) დავალიანების დაფარვა; ზ) სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტთა კონტინგენტში მიმდინარე სხვადასხვა ცვლილებები;
- 14.ფაკულტეტის წლიური სამოქმედო შემოქმედებით გეგმებთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება;
- 15.სემესტრულად ჩასატარებელი დახურული კონცერტებისათვის კომისიების მუშაობის განრიგის შედგენა, რეპეტიციების განაწილება და ჟურნალში კონცერტისთვის წარმოდგენილი პროგრამების შეტანა;
- 16.ღია აკადემიური კონცერტებისთვის და გამოცდებისათვის რეპეტიციების განაწილება, პროგრამებისა და აფიშების დაბეჭდვა;
- 17.პროფესორ-მასწავლებელთა გამოძახება კომისიებში, სხდომებსა და ღონისძიებებში მონაწილეობისათვის;

18. საორკესტრო-სიმებიან და ჩასაბერ მიმართულებებზე ორკესტრის რეპეტიციებზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა და სისტემატური არასაპატიო გაცდენების შემთხვევაში დეკანატში გამოძახება რეაგირების მიზნით;
19. საოპერო მომზადების მიმართულებისთვის განკუთვნილი შესასწავლი საოპერო პარტიების სტუდენტებისათვის განაწილება სპეციალობის პედაგოგების სურვილის გათვალისწინებით და ამასთან დაკავშირებით განცხადებების შეგროვება;
20. მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით, პარტიების განაწილება: დირიჟორთან, რეჟისორთან და კონცერტმასტერთან;
21. სხვადასხვა ღონისძიებებზე: შემდგომებზე, რეპეტიციებზე, სტუდენტთა, პედაგოგთა, ორკესტრანტების და გუნდის გამოძახება;
22. კოორდინატორისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გადამოწმებული საგამოცდო უწყისების ელექტრონულ ბაზაში შეყვანა;
23. კოორდინატორის დავალებით დამაბოლოებელი გამოცდებისათვის კომისიების შედგენა, რეპეტიციების განაწილება და გამოცდების მიმდინარეობისას ქულების დაჯამება;
24. სემესტრის დამთავრებისთანავე უწყისებში ქულების დაჯამება სემესტრულად, დავალიანებების აღნუსხვა და საკურსო რეიტინგის განსაზღვრა;
25. დამამთავრებელი კურსებისათვის საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
26. სტუდენტების მიერ არჩეული არჩევითი საგნების და საშემსრულებლო პრაქტიკისთვის განკუთვნილი დამადასტურებელი საბუთების (აფიშები, პროგრამები და ა.შ.) აღნუსხვა და სააღრიცხვო ბარათში შეტანა; პლასტიკური ბარათების გავრცელება;
27. დიპლომის დანართის შევსება;
28. პედაგოგებისა და კონცერტმასტერების კონკურსების, ღია გაკვეთილებისა და ატესტაციებისთვის კომისიების მოწვევა, საჭირო საბუთების მომზადება და ოქმების გაფორმება;
29. საჭიროებისამებრ რექტორატის თხოვნით ცალკეული დავალებების შესრულება (სხვადასხვა ღონისძიებებზე ბილეთებისა და მოსაწვევების მიმართულებებზე დარიგება და ა.შ.).

თავი 6

ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, დებულების ამოქმედება

მუხლი 21. ფაკულტეტის დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

- 21.1. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას შიმუშავენ ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭო.
- 22.2. ფაკულტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

მუხლი 22. დებულების ამოქმედება

დებულება ამოქმედდეს კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე